ქალი და რეალობა
WOMAN AND REALITY

ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. #315
+995 551 004204
women@wandr.ge
wandr.ge

საინფორმაციო ფურცელი

N3

შთამაგონებელი ქალები

ნომერში იხილავთ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, რომლებმაც ისტორია შექმნეს

სენატორი თემი დაქუორთი

ჯილიან მერკადო

ჯუდი ჰიუმანი

სტელა იანგი

კლაუდია გორდონი

დოქტორი მაია ანჯელუ

საუკუნეების განმავლობაში ქალები ქმნიდნენ ისტორიას. ზოგიერთი მათგანისათვის ეს ერთადერთი არჩევანიც კი იყო, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის, რომლებსაც ან ისე უნდა ეცხოვრათ, როგორც სხვები მოელოდნენ მათგან ან უნდა ებრძოლათ ისეთი ცხოვრების მოსაპოვებლად, როგორსაც თვლიდნენ რომ იმსახურებდნენ, ისევე როგორც ყველა სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი.
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გითხრათ, რომ ცხოვრებაში მინიმუმ ერთხელ მაინც ყოფილა დისკრიმინაციის ობიექტი. არსებობს უამრავი სისტემური პრობლემა, რომელიც ცხოვრებას ურთულებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ართმევს მათ გარშემომყოფ სამყაროსთან საკუთარი ნიჭისა და აღქმის გაზიარების შესაძლებლობას, იქნება ეს მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის არაადაპტირებულ შენობაში შესვლასთან დაკავშირებული დაბრკოლებების გადალახვა თუ ნაცნობობის საიტზე (Tinder) ადამიანების მხრიდან იგნორირება მას შემდეგ, რაც ისინი შეიტყობენ შეზღუდული შესაძლებლობის არსებობის შესახებ. ქალთა ისტორიებისადმი მიძღვნილი თვის აღსანიშნავად და იმის შესახსენებლად თუ რამდენად მადლიერი უნდა ვიყოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყოველი პირისა, ჩვენ თვალი გადავავლეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რამდენიმე ქალის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომლებმაც საკუთარი კვალი დატოვეს ჩვენს კულტურაზე.

სენატორი თემი დაქუორთი

შეერთებული შტატების უმცროსმა სენატორმა ილინოისის შტატიდან თემი დაქუორთმა, რომელიც 2017 წლიდან შეუდგა სენატორის საქმიანობას, ბევრი კუთხით გაითქვა სახელი, როგორც პირველმა: იგი იყო ვერტმფრენის პირველი პილოტი ქალი, რომელმაც უხელმძღვანელა საბრძოლო მისიას; ერაყის ომის პირველი ორმაგი ამპუტანტი; პირველი ტაილანდური წარმოშობის ამერიკელი ქალი და პირველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი, რომელიც არჩეულ იქნა კონგრესში და პირველი სენატორი, რომელმაც სენატორობის პერიოდში გააჩინა შვილი. დაქუორთმა, რომელიც არ უფრთხოდა ყოფილიყო გზის გამკვალავი და ყოველივე ამას იუმორის გრძნობით აკეთებდა, შეძლო შეექმნა წარმატებული პოლიტიკური კარიერა და ყოფილიყო არაერთი კანონპროექტის ინიციატორი, რათა შეემსუბუქებინა ცხოვრება მშობლებისთვის.

ჯილიან მერკადო

ჯილიან მერკადო გახლავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირველი მოდელი. როცა მან დაიწყო ფიქრი მოდელის კარიერაზე, იგი შეეცადა მოეძებნა ეტლის მომხმარებელი სხვა მოდელები, რომლებმაც წარმატებას ვერ მიაღწიეს. თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა ისეთი მოდელის პოვნა, რომელსაც რაიმე სახის შესაძლებლობის შეზღუდვა ექნებოდა. დაახლოებით 4 წლის წინ, მერკადომ მონაწილეობა მიიღო ღია კასტინგში, რომელმაც შეცვალა მისი ცხოვრებაც და სამოდელო ინდუსტრიაც. იგი დაიქირავეს დიზელ ჯინსის (Diesel Jeans) სარეკლამო კამპანიისთვის, ხოლო ერთი წლის შემდეგ IMG Models-მა გაუფორმა ხელშეკრულება. მას შემდეგ, იგი გამოჩნდა ბიონსეს ტურისათვის - Formation - მიძღვნილ კომერციულ კამპანიაში და მთავარ როლს ასრულებდა Target-ის რეკლამებში.

ჯუდი ჰიუმანი

როცა, დაწყებით სკოლაში მომხდარი „ხანძრის შემთხვევის“ შედეგად, ჯუდი ჰიუმანი სახლში გამოიკეტა, მან აღმოაჩინა თუ რამდენად უსამართლო შეიძლებოდა ყოფილიყო სამყარო და მიხვდა, რომ საჭირო იყო ცვლილებები. იგი გახდა პირველი ეტლის მომხმარებელი ქალი, რომელიც ასწავლიდა ნიუ იურკში მას მერე, რაც განათლების საბჭომ თავდაპირველად უარი უთხრა ლიცენზიის მიღებაზე. ჰიუმანმა სარჩელი აღძრა

დისკრიმინაციის ნიადაგზე, როცა გაარკვია, რომ მას უარი მხოლოდ იმიტომ უთხრეს, რომ დაეჭვდნენ რამდენად შეძლებდა იგი დახმარება აღმოეჩინა მოსწავლისათვის გადაუდებელი შემთხვევის დროს ან თუ რამდენად შეძლებდა ესარგებლა საპირფარეშოთი სხვისი დახმარების გარეშე. მან მოიგო პროცესი და სამი წელი ასწავლიდა. მასწავლებლობის შემდეგ იგი გახდა შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტის სპეციალური განათლებისა და რეაბილიტაციის სერვისების ოფისის მდივნის თანაშემწე და ამჟამად მუშაობს სახელმწიფო დეპარტამენტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო უფლებებში სპეციალური მრჩევლის პოზიციაზე.

სტელა იანგი

სტელა იანგმა დაიპყრო მედია და მისი მეშვეობით ცდილობდა მოეხდინა შეზღუდული შესაძლებლობის ნორმალიზება. იგი წერდა სტატიებს, რედაქტორობას უწევდა ონლაინ ჟურნალს, ქონდა საკუთარი კომედი შოუ და იყო შეზღუდული შესაძლებლობის თემაზე მომუშავე პირველი ავსტრალიური კულტურული ტელე-შოუს - No Limits-ის წამყვანი. 2014 წელს მან, ამერიკული მედია ორგანიზაციის TEDx-ის მეშვეობით, გააკეთა მიმართვა, სახელწოდებით „მე არ ვარ თქვენი შთაგონება, დიდი მადლობა“. თავისი მიმართვით მან თვალი აუხილა მილიონობით ადამიანს და დაამკვიდრა „პორნოგრაფიული შთაგონების“ კონცეფცია. ანუ როცა ადამიანები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უყურებენ, როგორც „ცოცხალ, სახალისო მიმებს“ და როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის უჩვეულოა ვინმემ უთხრას, რომ იგი, თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, არის მისი შთაგონება.

კლაუდია გორდონი

კლაუდია გორდონი ცვლილებებს ახორციელებს ვაშინგტონში და მუშაობს ყოფილ პრეზიდენტ ობამასთან შეზღუდული შესაძლებლობის ეროვნული საკითხების მოგვარების კუთხით. მთელი თავისი მუშაობის განმავლობაში, იგი ადვოკატირებას უწევდა ყრუ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემს. გორდონი მუშაობდა შეზღუდული შესაძლებლობის ეროვნულ საბჭოში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ქვეყნის უსაფრთხოების ეროვნულ კოალიციაში, სადაც იგი უზრუნველყოფდა, რომ ხელისუფლებას ქონოდა მოქმედი გეგმა საგანგებო სიტუაციების დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, იგი არის პირველი შავკანიანი ყრუ ადვოკატი ამერიკაში და პირველი ყრუ სტუდენტი, რომელმაც დაამთავრა ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სკოლა.

დოქტორი მაია ანჯელუ

თქვენ შეიძლება იცოდეთ მისი სახელი, მაგრამ ალბათ არ იცით, რომ იგი ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. დიახ! დოქტორ მაია ანჯელუს, ოთხი ცნობილი ლექსის ავტორს, გააჩნია ფარული შეზღუდული შესაძლებლობა. ბავშვობისას, მასზე სექსუალურად იძალადა დედამისის მეგობარმა მამაკაცმა. როცა მან ამის შესახებ ვიღაცას უამბო, იგი დაიჭირეს, შემდეგ გაუშვეს, ხოლო მოგვიანებით მოკლული იპოვეს. ტრავმამ, რომელიც გამოწვეული იყო გაუპატიურებით და იმაზე ფიქრით, რომ ამის გამხელა გახდა მოძალადის სიკვდილის მიზეზი, მას განუვითარა სელექციური მუტიზმი ანუ შერჩევითი სიმუნჯე (პათოლოგიური შფოთვა, რომელიც იწვევს ბავშვის დამუნჯებას კონკრეტულ სიტუაციებში). ანჯელუსთვის ეს ნიშნავდა სრულ სიმუნჯეს 5 წლის მანძილზე.

იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი ზეგავლენის მქონე შავკანიანი ქალი ისტორიაში, რომელმაც თავისი ბრძოლები ცხოვრების ძლიერ გაკვეთილებად აქცია. მე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალს, არ შემწევს ძალა სათანადო მადლობა გადავუხადო ენჯელუსა და აქ მოხსენიებულ სხვა ქალებს. მათ გავლენა იქონიეს იმ ცხოვრებაზე, რომელიც ახლა მე მაქვს და გვიჩვენეს, რომ მნიშვნელობა არ აქვს თუ რა დაბრკოლებას გიგზავნის ცხოვრება, არ უნდა დანებდე. ამ ქალებმა იბრძოლეს იმ ცხოვრების მოსაპოვებლად, რომელიც სურდათ და გაიმარჯვეს. ახლა კი, მოდით, ყველამ ავიღოთ მათი მაგალითი და დავტოვოთ საკუთარი კვალი სამყაროში.

წყარო:
https://www.sheknows.com/health-and-wellness/slideshow/9367/women-with-disabilities-who-made-history/

საინფორმაციო ფურცელი მომზადებულია პროექტის
„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სრული და ეფექტური ჩართულობისათვის“
ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ქალთა ფონდის მხარდაჭერით